აჭარის ა.რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო

გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

2015 წელი

ქ. ბათუმი

სარჩევი

საკონკურსო განცხადება.

ტექნიკური დავალება

ხელშეკრულების პროექტი

რეკვიზიტები

ხარჯთაღრიცხვა

1. საკონკურსო განცხადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - აცხადებს კონკურსს საავტომობილო გზების, ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის 2016 წლის განმავლობაში საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

1. შესყიდვის ობიექტი: **საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის 2016 წლის განმავლობაში საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე საპროექტო მომსახურების შესყიდვა.**

2. **შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 250 000 (ორასორმოცდაათიათასი) ლარს.**

3. **დაფინანსების წყარო: აჭარის არ 2015 წლის ბიუჯეტის სახსრები.**

4. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 01 ნოემბრამდე.**

5. **კონკურსში მონაწილეობის საფასური: საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).**

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი.
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 538 333

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად

განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

შენიშვნა: საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო დოკუმენტაცია ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2015 წლის 22 ივნისს.

9. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2015 წლის 24 ივნისის 15 საათზე.

10. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 24 ივნისის 15 საათამდე, შემდეგ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72ა, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.
12. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში;
- **ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის პროექტების შესახებ.კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2012 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 01 იანვარი) განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური ტიპის (საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობების (ხიდების, ბეტონის საყრდენი კედლების, გაბიონების) და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მომსახურების არანაკლებ 500 000 ლარის ღირებულების გამოცდილების.**

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა).

ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე, ამ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ანალოგიური ტიპის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების რეესტრი.

- რეკვიზიტები (დანართი№1);
- ხარჯთაღრიცხვა (დანართი№2)

13. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
14. ანგარიშსწორების პირობები:
    14.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
    14.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.
    14.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) - არ განიხილება.

15. **ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:**

ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 01 იანვრამდე.

16. **საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას - 250 000 ლარი, არ განიხილება.**

17. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- კონკურსანტის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.4.
- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.6.
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

18. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

19. **კონკურსში მონაწილე პირი ვალდებულია ქ. ბათუმში ყავდეს წარმომადგენელი, რომელიც ოპერატიულად შეძლებს ობიექტზე მასალების შეგროვებას და დამუშავებას.**

20. **საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72ა, საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი. საკონტაქტო პირი:**

ზებურ ჩავლეიშვილი 599 158798, 0(422)247366.

ელექტრონული ფოსტა –**tenders@ajararoads.ge**

2.8. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი

შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს- **250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) ლარს.**

გასაწევი მომსახურება:

საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის 2016 წლის განმავლობაში საჭირო საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე საპროექტო მომსახურებით 2015 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 01 ნოემბრამდე **უნდა დამუშავდეს პროექტები, რომელთა საგზაო, ხელოვნური ნაგებობების და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების საგარაუდო ღირებულება შეადგენს 12 500 000 ლარს.**

მომსახურების სახეობა:

1. **საველე კვლევა-ძიება და კამერალური სამუშაოები;**
2. **საპროექტო სამუშაოები;**
3. **სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ნახაზების შედგენა და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;**

4. **ობიექტის საბოლოო პროექტის შედგენა 4 (ოთხ) ეგზემპლიარად და მისი**

ელექტრონული ვარიანტი. საჭირო შემთხვევებში დამატებითი მომსახურების გაწევა:

5. **დეფექტური უწყისებით ხარჯთაღიცხვების შედგენა;**

6. **ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;**

საპროექტო მომსახურებით უნდა დამუშავდეს პროექტები საგზაო და სამელიორაციო სისტემების სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულებით:

№	**საგზაო სამუშაოების დასახელება**	**სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება დ.ღ.გ-ს გათვალისწინებით (ლარი)**
1.	საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა - რაბილიტაციის სამუშაოებისათვის 2016 წლის განმავლობაში საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;	12 500 000
	სულ	12 500 000

ტექნიკური პირობები

წინამდებარე ტექნიკურ პირობებში და დავალებაში მოცემულია მითითებები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს „მიმწოდებელმა", რომ დამუშავდეს დაბალი ფასის მქონე მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების ხვედრითი წონით და გამოსახულ უნდა იქნას ლარებში.

ორმხრივად შეთანხმებული განსაზღვრებები ხელშეკრულების შესრულების მთელ პერიოდში უცვლელია.

შესყიდვის ობიექტის დასახელება:

საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა.

1. **დავალების შინაარსი**

მიმწოდებელს მოეთხოვება განსაზღვრული მონაკვეთების საავტომობილო გზების, ხელოვნური ნაგებობების და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საკვლევაძიებო და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენა.

პროექტების ჩამონათვალი და მოცულობები დაზუსტდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის პროგრამის დაზუსტების შემდეგ.

მიმწოდებელი ვალდებულია ქ. ბათუმში ყავდეს წარმომადგენელი, რათა ოპერატიულად მოხდეს დეპარტამენტის მიერ მიწოდებული ობიქტის (საპროექტო დავალების) შესწავლა, ინფორმაციის შეგროვება და საჭირო მასალების დამუშავება.

მიმწოდებელი ვალდებულია დეპარტამენტის მიერ ეტაპობრივად გადაცემული საპროექტო დავალებით განსზღვრული ჩამონათვალის და ვადის შესაბამისად წარმოადგინოს სრულფასოვანი საპროექტო დოკუმენტაცია.

სხვადასხვა მიზეზების გამო, საჭირო შემთხვევებში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შეთანხმებულ საწყის გეგმაში: გაზარდოს ან შეამციროს მომსახურების საერთო მოცულობა.

ობიექტის პროექტირება მოიცავს საველე კვლევასაძიებო სამუშაოებს, მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას.

გზებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის გაუმჯობესების და სამუშაოების ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებილი ვალდებულია:

* ყოველი კონკრეტული მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები შეასრულოს საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები) და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებით:

* საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები გარდა სამშენებლო მოედნისა, ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას;
* მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს მოქმედი კარიერების და ინერტული მასალების დამამზადებელი პოტენციური ორგანიზაციების შერჩევა;

* პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;
* სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების და დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით.

2. სამუშაო ადგილის მომზადება

მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე.

3.მოძრაობის ორგანიზაცია

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოების ადგილების შემოფარგვლა უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციის და საგზაო სამუშაოების წარმოების ინსტრუქციის მიხედვით, რათა ეფექტურად იყოს დაცული მომუშავე პერსონალის და მესამე პირის უსაფრთხოება. საჭირო შემთხვევაში დასაშვებია გზების მონაკვეთების ასაქცევი დროებითი გზების მოწყობა.

4. დავალების შესრულების წესი

დავალების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების სპეციპიკური პირობებით.

პროგრამით გათვალისწინებულია მომსახურების დაწყების და დასრულების ვადები. კონკრეტული ობიექტების პროექტების შედგენის ვადები განისზღვრება ტექნიკური დავალებებით.

5. ნორმატიული დოკუმენტები

პროექტების ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივები: სამუშაოების სახეობების და კონსტრუქციული ელემენტების პროექტირებისას მიმწოდებელი ხელმძღვანელობს

საქართველოში მიღებული შესაბამისი ნორმებით და სტანდარტებით.

6.სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

ასანაზღაურებელი მომსახურების მოცულობა განისაზღვრება ორმხრივი ხელმოწერილი აქტის საფუძველზე. მიმწოდებლისაგან მიღებული საპროექტო–სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება განისაზღვრება 10 დღით.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტზე, მიმწოდებელთან შეთანხმებით, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული იქნება პროექტის ეტაპობრივი შესრულება და წარმოდგენა. პროექტის ეტაპი განიხილება შემსყიდველის **ტექნიკურ** საბჭოს სხდომაზე.

7. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა

მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო – სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ დაშვებული ხარვეზების გამო, მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება პროექტში დაშვებული ცდომილება და რომლის აღმოფხვრის მიზნით არ იქნება საკმარისი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხის 3%, ასეთ შემთხვევაში დამატებითი სამუშაოების ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

8. კუთვნილება

ამ დავალიანებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში. მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

შემსყიდველის მითითებით მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის ნაწილის ან სრული მოცულობის ელექტრონული ვერსია.

9. საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლიარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი.

10. ხელშეკრულების პირობების შესრულების წესი

მომსახურებისგაწევას "მიმწოდებელი" ასრულებს საკუთარი ძალებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობის 30%-მდე დასაშვებია გადაეცეს ქვეიჯარით, "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. თანხმობის გარეშე ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება. ქვეკონტარქტორს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების გამოცდილება.

მომსახურების ნაწილის ქვეიჯარაზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

2.9. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და ფასები:

2.9.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი №2-ის მიხედვით

2.9.2. საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.10. **მომსახურების გაწევის ვადები:**

2.10.1. საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობების და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების ვადაა:

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 01 ნოემბრამდე.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ხელშეკრულება მოქმედებს ხელშეკრულების ხელისმოწერიდან 2015 წლის 01 დეკემბრამდე.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ ტექნიკური დავალება მომსახურებაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო მიმწოდებელი ვერ ასწრებს აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი გააგრძელებს მომსახურებას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად აღნიშნული დავალების საბოლოო დასრულებამდე და შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს გაწეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად.

ვინაიდან კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის (მიმწოდებლის) საკონკურსო წინადადება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, მომსახურების გაწევის პროცესში „მიმწოდებელი“ ძირითადში ხელმძღვანელობს მისივე სატენდერო წინადადებაში მოცემული და შემსყიდველის მიერ შეთანხმებული ვადებითა და მომსახურების ეტაპების განხორციელების თანმიმდევრობით.

საჭირო შემთხვევაში, წლიური დაფინანსების ფარგლებში, პროექტების დამუშავების თანმიმდევრობა და თვით პროექტის შესრულების ვადების კორექტირება ხდება დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან და მიმწოდებელთან შეთანხმების საფუძველზე.

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

პროექტი

ქ. ბათუმი -- ---------- 2015 წ.

ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72ა), წარმოდგენილი მისი უფროსის გიორგი რომანაძის სახით შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ----------, წარმოდგენილი მისი დირექტორის ---------- სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^2 მუხლის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის 2016 წლის განმავლობაში საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (**საკონკურსო №--------, cpv კოდი -71300000**)

შემდგომში „მომსახურება".

მუხლი 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასყიდი მომსახურების ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესასყიდი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს:

---------- (----------) ლარს.

2.3. მომსახურების საერთო ღირებულება შეიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის-დღგ-ს.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით და კონკრეტულ პროექტზე ტექნიკური დავალებებით განსაზღვრულ ვადებში. მიმწოდებელი ვალდებულია დეპარტამენტის მიერ გადაცემული საპროექტო დავალებით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს დავალებაში მითითებული საპროექტო დოკუმენტაცია.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია ქ. ბათუმში ყავდეს წარმომადგენელი, რომელიც ოპერატიულად შეძლებს ობიექტზე მასალების შეგროვებას და დამუშავებას.

3.3. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ ცალკეულ ობიექტზე მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს ყოველ ცალკეულ ობიექტზე მომსახურების გაწევის ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

3.4. შემსყიდველთან შეთანხმებით მიმწოდებელი გააფორმებს ქვე-კონტრაქტს. ქვე-კონტრაქტის შინაარსი არ ცვლის მიმწოდებლის ვალდებულებებს და პასუხისმგებლობებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების დასრულებულ დოკუმენტაციას (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვები, საკონკურსო დოკუმენტაცია და სხვა შემავალი დოკუმენტები) შემსყიდველი ღებულობს მიმწოდებლისაგან ტექნიკურ საბჭოზე განსახილველად და დასამტკიცებლად. ხოლო პროექტის დამტკიცების შემდეგ შედგება ორმხრივი საბოლოო აქტი დასრულებული საპროექტო სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე.
ტექნიკური დავალებით განსაზღვრული შუალედური (ეტაპობრივი) მოცულობების განხილვა და მისი ანაზღაურება განისაზღვრება ზემოთ აღნიშნული წესით. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია აჭარის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ოფისი და საჭირო შემთხვევებში, გზის მონაკვეთი.

4.2.შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო უარყოფითი.
4.3.ყოველ ცალკეულ ობიექტზე განხორციელებული მომსახურების მიღებას და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.4.ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

მუხლი 5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი გაუწევს მომსახურებას საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა, წესებისა, ნორმებისა და ტექნიკურ პირობებში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის გარანტიით.
5.2მომსახურების გაწევისთვის გამოყენებული ძირითადი სტანდარტები და ნორმები: საქართველოში მოქმედი სტანდარტები, წესები და ნორმები.

მუხლი 6. ანგარიშწორება

6.1.ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ამ პუნქტში მითითებული ფორმითა და ვადებში.

6.2.ანგარიშწორების პირობები: ანგარიშსწორების ფორმა - **უნაღდო.**

6.3.ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველ ცალკეულ ობიექტზე გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა. ანაზღაურება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა.

6.4.მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების აუთვისებლობის შემთხვევაში.
6.5. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს ყოველ ცალკეულ ობიექტზე გაწეული მომსახურების ღირებულება განსაზღვრულ ვადებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასების და პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 7.ფასები

7.1 მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველის მიერ შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასები წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების ძირითად პარამეტრებს.

7.2. ხელშეკრულების ერთეული ფასების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ყველა სხვა შემთხვევაში, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
8.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.
8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნით უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.
8.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო – სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებაზე და სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ დაშვებული ხარვეზების გამო, მშენებლობის პროცესში აღმოჩნდება პროექტში დაშვებული ცდომილება და რომლის აღმოფხვრის მიზნით არ იქნება საკმარისი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხის 3%, ასეთ შემთხვევაში დამატებითი სამუშაოების ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.

9.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაღვრული პირობების შეუსრულებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობების და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ მუხლით.

9.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვნად შესრულებისთვის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 %-ის ოდენობით და უზრუნველყოს დარღვეული უფლებების დაუყოვნებლივ გამოსწორება. იმ შემთხვევაში თუ დამრღვევი მხარე არ გამოასწორებს დარღვეულ უფლებას, მეორე მხარე უფლებამოსილია დამატებით გამოიყენოს ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციები.

9.5. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხის 0,2%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.6 ხელშეკრულების პირობების ვადის (ხელშეკრულების 3.1. პუნქტი და 15.1 პუნქტი) დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს შემსყიდველს და მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი, მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება

აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს წერილობით ამის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული – დეპარტამენტის ტექნიკური განყოფილება (განყოფილების უფროსი – არსენ გაბაიძე).

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველგვარი დაბრკოლებისა და შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების საერთო კონტროლი ევალება დეპარტანტის უფროსის მოადგილეს სერგო დუმბაძეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების

შეუსრულებლობის გამო

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება ორმხრივი შეთანხმებით (დანართის ფორმით), მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შეასძლებლობა.

12.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

12.5. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის, ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.4. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

14.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14.7. ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური პირობები და სხვა დოკუმენტაცია თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება შეასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდში.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე 2015 წლის 01 დეკემბრამდე.

მუხლი 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. ბათუმი ჯავახიშვილის №72ა	
აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო-დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	
ანგარიშის№-GE62TB7901736010100014	
საიდენტიფიკაციო კოდი: 245538333	
მიმღები ბანკი: ს.ს. “თიბისი ბანკი “	
ბანკის კოდი: TBCBGE22	
_____	_____
დეპარტამენტის უფროსი: გ. რომანაძე	დირექტორი:

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება

პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში , ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72ა, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი.

საკონტაქტო პირი:

შესყიდვების განყოფილება - ზებურ ჩავლეიშვილი - ტელ: 599 158798, 0(422) 247366.

ელექტრონული ფოსტა –**tenders@ajararoads.ge**

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
ელექტრონული მისამართი:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშსწორების ანგარიში:	
ანგარიშის ნომერი:	
საკონკურსო წინადადების ფასი:	

--- ---

(თანამდებობა) ((ხელმოწერა)

ბ.ა.

დანართი #2

საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის და რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის 2016 წლის განმავლობაში საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების

ხარჯთაღრიცხვა

საპროექტო მომსახურების დასახელება	**სამშენებლო სამუშაოების საგარაუდო ღირებულება ლარი**	**მომსა-ხურების %**	**ღირებულება** (დღგ-ს ჩათვლით) **ლარი**
1	2	3	4
საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობა - რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	12 500 000		
სულ ხარჯთაღრიცხვით.	12 500 000		

პრეტენდენტის ხელწერა და ბეჭედი: